შპს "აგროგრუპი"

(ს/ნ 419994180)

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-12

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	*280 043*	*510 615*	*203 119*
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2000	464264	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები			
მარაგები	*9360*	*530 365*	*1 283 937*
მზა პროდუქცია		519153	1 283 937
სხვა	9360	11212	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები		3168	
ბიოლოგიური აქტივები			
თვითღირებულების მოდელით			
გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	796807	260236	128 035
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	*1088210*	*1768648*	*1 615 091*
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	120980	191945	666 550
ანარიცხები			382
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	370	10 6666	781
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	728133	1 141 527	799265
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	*849483*	*1 344 138*	*1466978*
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	264318	291 000	106000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-25591	133 510	42113
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			

AGROGROUP LLC
GEORGIA, 419941180

სულ საკუთარი კაპიტალი	*238727*	*424 510*	*148113*
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	*1088210*	*1 768 648*	*1615091*

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2022**	**31/12/2021**
ნეტო ამონაგები	2101585	8024736
საქონლის გაყიდვიდან	2101585	8024736
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
გაყიდვების თვითღირებულება	-2040486	-7441289
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	***61099***	***583447***
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-19500	-50934
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-14931	-14536
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-59210	-85693
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-97148	-329123
სულ საოპერაციო ხარჯები	-190789	-480286
საოპერაციო მოგება	***-129690***	***103161***
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-129690	103161
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	***-129690***	***103161***
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი		

AGROGROUP LLC
GEORGIA 412994180
აგროგრუპ ელ.ელ.სი

ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-129690	103161
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	424510	148113
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-29411	-11764
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-26682	185000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	*238727*	*424510*

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 593 377	7434923
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-2 823 929	-7127427
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	*-230 572*	*307496*
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	510 615	203119
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	*280043*	*510615*

შპს "აგროგრუპი"-ს ფინანსურ ანგარიშებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. *ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ*

შპს „აგროგრუპი" (ს/ნ 419994180) რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წლის 23 იანვარს.

საწარმოს დამფუძნებელია 100% ით (პ/ნ 51001000506) თეიმურაზ გოგოხია .

საწარმოს ხელმძღვანელ პირს წარმოაადგენს თეიმურაზ გოგოხია..
ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თხილის პირველადი გადამუშავება და ექსპორტი

საწარმოს იურიდიული მისამართია: ზუგდიდი რუსთაველის ქ.2 ჩიხი ნომერი 7;

საწარმოს ფაქტიური მისამართია: ზუგდიდი სოფ. ჭითაწყარი

2. *მომზადების საფუძვლები*

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ზუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით, გარდა შენობის და არასასოფლო-სამეურნეო მიწისა, რომელიც წარდგენილია რეალური ღირებულებით, სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის და მათი რეალური ღირებულება კომპანიამ მიიჩნია მის დასაშვებ საწყის ღირებულებად ამ თარიღისთვის.

ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

2.1 *შესაბამისობა*

წარმოდგენილი ფინასური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.
საწარმოსათვის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წ-ს 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შესადარის ინფორმაცია 2021 წლის 31 დეკემბრისა.

2.2 *ფუნქციონირებადი საწარმო*

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირი-თად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშ-გება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

2.3 *ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა*

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

3. *ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა*

3.1. *აღრიცხვის საფუძვლები*

საღრიცხვო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი "მეწარმეთა შესახებ" და კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, მსს ფასს სტანდარტები, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორცი-ელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად, ჯგუფისა და განყოფილების და-ცვით ელექტრონულად საბუღალტრო პროგრამა "ორისი"-ში. საწარმო მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან.

3.2. *უცხოური ვალუტა*

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგრიშგე-ბო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური - ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გა-ცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3. *სავალუტე რისკი*

კომპანია როგორც მე-3 კატეგორიის საწარმო აღიცხავს ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში, ამასთან ერთად საწარმოს გააჩნია ექსპორტის ოპერაციები და სავაჭრო პარტნიორებთან უწევს სავალუტო ურთიერთობები.

3.4. *შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება*

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება საწარმოში, ან შესაბამისად გადინება.
შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსვლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის პირობების გათვალიწინებით და გადასახადების გამოკლებით. შემოსავლების აღიარება მათი სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან
შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება უკან დაბრუნებები.შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც: საწარმომ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი . რისკი და სარგებელი გადავიდა მყიდველზე
საწარმოს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შესაძლებელია შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება.

3.5. *ძირითადი საშუალებები აღიარება და შეფასება*

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთა

ფასს-ის მიზნებისათვის ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისება. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისათვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად.
აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველწლიურად და დაკორექტირდება საჭიროებისამებრ.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მოსი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება არაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგოც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ (მისაღებ) წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალში.

3.6 *არამატერიალური აქტივები*

არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის მიხედვით.

3.7 *სასაქონლო-მატერიალური მარაგები*

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, ხარჯებს, ასევე ტრანსპორტირების, საბაჟოს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.
სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგი აისახება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

3.8 *ფინანსური ინსტრუმენტები*

საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აღრიცხავს ბასს 39-ის მოთოვნების შესაბამისად.
ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

3.9 *ფინასური აქტივების გაუფასურება*

საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური ნიშნები ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ("ზარალის დადგომის შემთხვევა"), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსურ აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნო შეფასებაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე განიცდის მნიშვნელოვან ფინასურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვადას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა. საწარმო ჯგუფურად აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას. აქტივების საბალანსე ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში. მისაღები დებიტორები მათთან დაკავშირებულ რეზერვებთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, უზრუნველყოფის ყველა საგანი გადაცემული ან რეალიზებულია საწარმოსათვის. თუ მომდევნო წელს გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება, ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. ჩამოწერის ამოღების შემთხვევაში იგი აისახება მოგება-ზარალში.

3.10. *არაფინანსური აქტივების გაუფასურება*

ანგარიშგების თარიღისათვის საწარმო აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთის შემთხვევაში საწარმო განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

3.11. *შრომის ანაზღაურება*

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

3.12 . *კაპიტალი*

საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწ-ესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარ-მოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელი მოგებას.

შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავლები რეალიზაციიდან	20 22 წელი	2021 წელი
	2 101 585	*8 024 736*

რეალიზაციის თვითღირებულება

	2022 წელი	2021 წელი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	*2 040 486*	*7 441 289*

საოპერაციო ხარჯები

	2021	*2022*
დასაქმებულთა ანაზღაურება	-50934	-19500
ცვეთა და ამორტიზაცია	-14536	-14 537
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	-85693	-59 210
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-329123	-190647
სულ საოპერაციო ხარჯები	-480286	-278894

ფინანსური ხარჯი

გრძელვადიანი სესხი აღებულია საკრედიტო ორგანიზაციებისაგან ბანკის საკრედიტო ხელშეკრულებებში გარანტორს წარმოადგენს დამფუძნებელი.

2021 წელს სესხის პროცენტმა შეადგინა 85 693 ლარი
2022 წელს სესხის პროცენტმა შეადგინა 59 210 ლარი.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში იგულისხმება მომწოდებლებისათვის გადასახდელი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და რომლებიც გაწეულია, მაგრამ ჯერ არ არის გადახდილი წლის დასასრულს. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის სულ ვალდებულებები შეადგენს 191 945 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის სულ ვალდებულებები შეადგენს 120 980 ლარი.

მოგების გადასახადის აღრიცხვა

მოგების გადასახადი გაიანგარიშება 2017 წლიდან ესტონური მოდელის ახალი კანონით, საგადასახადო კოდექსის 98-ე პრიმა მუხლებით. საწარმო საკუთარ ფინანსურ ანგარიგებაში აღიარებს

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს სრულად განაწილების შემთხვევაში.
მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დარიცხული ფინასური მოგების გადასახადის გადახდა მოხდება დივიდენდების გაცემისას. ხოლო სხვა დანარჩენ ოპერაციებზე დარიცხული "მოგების გადასახადი" აღირიცხება როგორც "სხვა საგადასახადო ხარჯი".

კაპიტალი

მფლობელის კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომლის აღიარებაც მოხდება, როგორც საწარმოში დამფუძნებლის შენატანი სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში. კაპიტალში ცვლილება გამოწვეულია , როგორც დამფუძნებლის შენატანით, ასევე საანგარიშო პერიოდში მიღებული მოგებით:

კაპიტალის ცვლილება	31.12.2021	31.12.2022
საწყისი ნაშთი	148 113	424 510
მიღებული მოგება	103 161	-129690
დანფუძნებლის შენატანი(დაბრუნება)	185 000	-26682
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)	-11764	-29411
კაპიტალის ნაშთი პერიოდის ბოლოს	424 510	238727

დივიდენდის განაწილება

. დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად მისი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდი ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება.

ფულადი სახსრების აღიცხვა

საწარმოში ოპერაციები ხორციელდება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით. ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების შეფასება და აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოებს ფაქტიური ანუ გამოცხადებული ღირებულებით.

ფული და ფულის ექვივალენტები : 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეესაბამება 510 615 ლარს

2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეესაბამება 280 043 ლარს .

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების აღირება ხდება წინდახედულობის პრინციპით და აისახება მიწოდებული აქტივის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით მიწოდების დოკუმენტის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები: 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 464 264 ლარი.
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2000 ლარი.

მარაგები

მარაგები დაკომპლექტებულია სასაქონლო -მატერიალური მარაგებით, გადასამუშავებელი ნედლეულით და მზა პროდუქციით.

მარაგების მთლიანი ღირებულება : 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 519 153 ლარს
2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 9360 ლარს

გრძელვადიანი აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკითა და ფასს სტანდარტების გათვალისწინებით ქონება დაჯგუფებულია საქმიანობისა და გამოყენების ვადების მიხედვით.ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადიდან გამომდინარე.

ცვეთის ხარჯი: 2021 წლის საანგარიშო პერიოდში შეადგინა 14 536 ლარი.
2022 წლის საანგარიშო პერიოდში შეადგინა 14 537 ლარი.

შპს „აგროგრუპი"-ს ს/ნ 419994180

დირექტორი: თ.გოგოხია